Room care R2-plus

მყარი ზედაპირების საწმენდი და სადეზინფექციო საშუალება — კონცენტრატი

აღწერილობა
კონცენტრირებული საწმენდი საშუალება წყალგამძლე მყარი ზედაპირების ჰიგიენური წმენდისათვის. გამოიყენება მხოლოდ Divermite/DQFM-ის დოზირებისა და განზავების სისტემასთან ერთად.

ძირითადი თვისებები

- შექმნილია მყარი, წყალგამძლე ზედაპირების ჰიგიენური წმენდისათვის.
- მსუბუქი ტუტოვანი პროდუქტი.
- სასიამოვნო და ახალი Room Care-ის სურნელი,მსუბუქი, ნაზი და სასიამოვნო, სუფთა არომატი
- არ შეიცავს აბრაზიულ ნაწილაკებს
- ჰაერის განეიტრალების უნიკალური, დაპატენტებული ONT ტექნოლოგია ცვლის უსიამოვნო სუნის გამომწვევი მოლეკულების სტრუქტურას

დადებითი მხარე

- ზედაპირებს ჰიგიენურად სუფთას ტოვებს
- სწრაფად და ნაზად აშორებს ცხიმოვან და წყალში ხსნად ნარჩენებს
- ტოვებს სასიამოვნო სურნელს
- ანეიტრალებს უსიამოვნო სუნის გამომწვევ მოლეკულებს და აძლიერებს არომატის ეფექტს
- აღჭურვილია ფერადი და ალფანუმერული მარკირებით, რაც გამორიცხავს გამოყენებისას დაშვებულ შეცდომებს.

გამოყენების ინსტრუქცია
დოზირება:
დოზირება: გაზავება ხდება DIVERMITE ან DQFM დისპენსერების საშუალებით. გაზავების კოეფიციენტი: 15%-20%

გამოყენება:

მიასხურეთ მცირე რაოდენობა სველ ქსოვილს ან ღრუბელს და გაწმინდეთ ზედაპირი. დატოვეთ საშუალება ზედაპირზე მიკრობიოლოგიური მონაცემებით განსაზღვრული დროის განმავლობაში. ჩამორეცხეთ სუფთა წყლით ან გაწმინდეთ სუფთა, ნოტიო ქსოვილით. დამატებითი ბზინვარებისთვის გააპრიალეთ მშრალი ქსოვილით.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- გამოყენებამდე შეამოწმეთ მასალის გამძლეობა მცირე, შეუმჩნეველ ადგილას.
- არ გამოიყენოთ სხვა დოზირების სისტემებთან ერთად.
- არ გამოიყენოთ გაუზავებელ მდგომარეობაში.

ტექნიკური მაჩვენებლები:

გარეგნული იერსახე: გამჭვირვალე მწვანე სითხე
ფარდობითი სიმკვრივე [20°C]: 1,03
pH-მაჩვენებელი (გაუზავებელი): 11
pH-მაჩვენებელი ხსნარში: (9-10) +/- 0.5 (10%-იან ხსნარში)

ზემოაღნიშნული მონაცემები წარმოადგენს საშუალო საწარმოო მნიშვნელობებს და არ უნდა იქნეს აღქმული როგორც ზუსტი სპეციფიკაცია.

უსაფრთხო გამოყენება და ინფორმაცია შენახვის შესახებ:

გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები. მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. შეინახეთ მშრალ და გრილ ადგილას, ტემპერატურაზე +5C-დან +25C-მდე. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. მოარიდეთ თვალთან და კანთან კონტაქტს.

ამ პროდუქტის გამოყენების სრული სახელმძღვანელო წარმოდგენილია ცნობარში ,,მასალის უსაფრთხოების შესახებ“.

შეფუთვა 2 ლიტრი